

საჯარო-ქერძო პარტნიორობის ნორმატიულ-სამართლებრივი და ინსტიტუციური უზრუნველყოფა საქართველოში

ყურადღებისა და ინტერესის გადიდება საჯარო-ქერძო პარტნიორობის კონცეფციისადმი ქვეყნის უმაღლეს სამთავრობო დონეზე გამოიწვია სკპ-ის პროექტების რეალიზაციისათვის აუცილებელი სისტემის აქტიური ფორმირება. ასეთი სისტემა მოიცავს ნორმატიულ-სამართლებრივ უზრუნველყოფას და შესაბამისი ინსტიტუციური გარემოს ჩამოყალიბებას.

მართალია, საქართველო ჯერ კიდევ არ შედის სკპ-ით მოსარგებლე ლიდერ ქვეყანათა რიცხვში, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ ქვეყნის სოციალურ და საწარმოო ინფრასტრუქტურაში ინვესტიციებზე დიდ მოთხოვნილებას, და ასევე ამ მიზნებისათვის საბიუჯეტო სახსრების შეზღუდულობას, სკპ-ის განვითარების პროცესების აქტივიზაციის ალტერნატივა ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს.

უკანასკნელ წლებში გაწეული ძალისხმევის მიუხედავად, საქართველო იმყოფება სკპ-ის პროექტების რეალიზაციისათვის აუცილებელი სისტემის შექმნის რთული პროცესის მხოლოდ საწყის ეტაპზე. ამავე დროს საქართველოში უკვე შეინიშნება გარკვეული პროგრესი სკპ-ის პროექტების მხარდაჭერის ინსტრუმენტებით ინვესტორთა აღჭურვის სფეროში ხელისუფლების როგორც ცენტრალურ, ასევე მუნიციპალურ დონეებზე. კერძოდ, საქართველოს პარლამენტის მიერ უკანასკნელ პერიოდში მიღებულ იქნა რიგი კანონებისა, რომლებსაც პირდაპირ თუ არაპირდაპირ კავშირი აქვთ სკპ-ის ცალკეულ ფორმებთან და ასპექტებთან [1-17]. ამან შექმნა აუცილებელი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა სკპ-ის პროექტების რეალიზაციისათვის.

ბოლო რამდენიმე წელია სახელმწიფო სერიოზულ ნაბიჯებს დგამს საქართველოში სკპ-ის განვითარების მიზნით კეთილსასურველი გარემოს შესაქმნელად. შეიძლება აღინიშნოს, რომ საქართველოში ადგილი აქვს თანმიმდევრულ მოძრაობას კლასიკური საპროექტო დაფინანსების სქემების ანუ სკპ-ის დასავლური მოდელის დანერგვის მიმართულებით. ამასთან, სკპ-ის მექანიზმის გამოყენებისას სახელმწიფო, როგორც

**მერაბ მანიშვილი –
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
სტუ-ს პროფესორი**

**ნინო მანიშვილი –
ბიზნესის ადმინისტრირების
აკადემიური დოქტორი,
სტუ-ს მოწვეული უფროსი
მასწავლებელი**

წესი, შემოიფარგლება კერძო კომპანიების მოზიდვით თავისი ფუნქციების ნაწილის განსახორციელებლად, და ამ კომპანიებს გადასცემს სახელმწიფო საკუთრების ობიექტებში ინვესტირების უფლებას.

სკპ-ის ფაქტობრივი ჩამოყალიბება საქართველოში დაიწყო რამოდენიმე წლის წინ ისეთი ახალი ინსტიტუტების გამოჩენით, როგორიცაა: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (1997 წ.), საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო (2002 წ.), თავისუფალი ინდუსტრიული ზონები (2007 წ.), თავისუფალი ტურისტული ზონები (2010 წ.), საინფორმაციო ტექნოლოგიური ზონები (2010 წ.), სს „საპარტნიორო ფონდი“ (2011 წ.).

საგულისხმოა, რომ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის შექმნა გახდა სკპ-ის მექანიზმის განვითარებისადმი სახელმწიფოს ინტერესის მნიშვნელოვანი პოლიტიკური მაჩვენებელი. მუნიციპალური განვითარების ფონდი 1997 წელს დაფუძნდა და საქართველოში მოქმედ მსოფლიოს ყველა მსხვილ საინვესტიციო ბანკთან თუ ფინანსურ ინსტიტუტთან თანამშრომლობს. ფონდის საქმიანობის კოორდინაციასა და მართვას ახორციელებს საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული სამეთვალყურეო საბჭო. ფონდს მართავს აღმასრულებელი დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. ფონდის საქმიანობის სახ-

ელმწიფო კონტროლს კი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ახორციელებს. ფონდი ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობის, ფონდის სამეთვალყურეო საბჭოსა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წინაშე.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინსტიტუციურ და ფინანსურ შესაძლებლობათა გაძიერებას, ადგილობრივ ინფრასტრუქტურასა და მომსახურებაში სახსრების ინვესტირებას, ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი ეკონომიკური და სოციალური მომსახურების მდგრად საფუძველზე გაუმჯობესებას, განახლებადი ენერგიების (მცირე ზომის ჰიდროელექტროსადგურებისა და გეოთერმული) ობიექტების განვითარებას, იძულებით გადაადგილებული პირებისათვის მყარი ეკონომიკური ბაზის შექმნას, საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების რეაბილიტაციას, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საქართველოს იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის შეღავათიანი სესხების გაცემის უზრუნველყოფას, უცხო ქვეყნებისა და საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის ბიზნესის განვითარების მიზნით ტექნიკური დახმარების გაწევას, საქართველოში კონფლიქტის შედეგად მოსახლეობისა და ინფრასტრუქტურისათვის მიყენებული ზარალის აღმოფხვრას.

ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად ფონდი თანამშრომლობს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, უცხო ქვეყნებისა და საქართველოს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან და მოსახლეობასთან, ახდენს სახსრების მობილიზებას საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, დონორი სააგენტოებიდან და უცხო ქვეყნებიდან, ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან და სხვა ორგანიზაციებიდან.¹

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით, ფონდი უფლებამოსილია, კანონმდებლობით

დადგენილი წესით, განხორციელოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ცალკეული ინფრასტრუქტურული პროექტები. ფონდი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან და სხვა დონორებთან² საქართველოს მიერ დადებული ხელშეკრულების, სამოქმედო სახელმძღვანელოსა და საკუთარი დებულების შესაბამისად.

ფონდი პასუხისმგებელია ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და სხვა დონორებისაგან მიღებული და ძირითადი და საპროცენტო თანხების სახით ფონდის სესხებიდან ამონაგები სახსრების მართვისათვის, რომელთა მიზანია ადგილობრივი და რეგიონული ინფრასტრუქტურისა და მომსახურების სფეროში განხორციელებული საინვესტიციო პროექტებისა და შესაბამისი ტექნიკური დახმარების დაფინანსება.

ადგილობრივი და რეგიონული ინფრასტრუქტურისა და მომსახურების სფეროში ფონდის მიერ განხორციელებული პროექტების მასშტაბურობასა და მნიშვნელოვანებაზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის 2013 წლის პირველ ნახევარში ფონდის მიერ განხორციელებული სამუშაოების შედეგები.

ანგარიშიდან ირკვევა, რომ ფონდმა თავისი მისიის (ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების ინსტიტუციური განვითარების მხარდაჭერა, ფინანსური შესაძლებლობების გაძიერება და ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის ფინანსური რესურსების ინვესტირება) ფარგლებში 2013 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში საქართველოს მასშტაბით ათობით მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი განახორციელა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით [18]:

იძულებით გადაადგილებულ პირთა მხარდაჭერა: ანგარიშის თანახმად, ფონდმა 6-თვიანი მუშაობის შედეგად, საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში (ზესტაფონში, ფოთში, ზუგდიდში, მარნეულში, ქარელში, გორში, თერჯოლში, კასპში, მცხეთაში, წყალტუბოში, ქუთაისსა და ვანში), იძულებით გადაადგილე-

¹ ფონდი თავისი მიზნების მისაღწევად და ფუნქციების შესასრულებლად მობილიზებას უწევს და იყენებს შემდეგ ფინანსურ რესურსებს: ფონდის სესხების მიმღებთა მიერ გადახდილი სესხებიდან და პროცენტებიდან მიღებულ თანხებს, რომლებსაც საქართველოს მთავრობა ფონდს სრულად გადასცემს დებულებით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად; საერთაშორისო-საფინანსო ორგანიზაციებიდან გამოყოფილი რესურსების, ორმხრივი და მრავალმხრივი პროგრამების ფარგლებში მიღებულ თანხებს და არასამთავრობო ორგანიზაციათა შენატანებს; საქართველოს ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტებიდან თანადაფინანსებით გამოყოფილ თანხებს; საქართველოს სხვა საფინანსო ორგანიზაციებიდან მობილიზებულ რესურსებს; საქველმოქმედო შენატანებს; საქართველოს კანონმდებლობით ნებადართულ სხვა წყაროებს.

ბუღ პირთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, 16 საცხოვრებელი სახლი ააშენა, 11 კორპუსს კი რეაბილიტაცია ჩაუტარა. ამასთან, 12 სოფელში განხორციელდა წყალმომარაგებისა და სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია, ჯამში, აღნიშნული პროექტებისათვის ფონდმა 9 მლნ ლარი დახარჯა.

გარდა ამისა, 2013 წელს ფონდმა დაიწყო ისეთი მნიშვნელოვანი პროექტი, როგორიც სალთვისი-ტირიფონის საირიგაციო სისტემის რეაბილიტაციაა. კონფლიქტის ზონაში მდებარე სალთვისი-ტირიფონის საირიგაციო სისტემაზე მუშაობა განადგვითი პროცესის ფონზე მიმდინარეობდა. საირიგაციო სისტემის რეაბილიტაციის საპროექტო ღირებულებაა 13 365 ათასი ლარია. ტირიფონის მაგისტრალური არხის რეაბილიტაციის შედეგად, 23 სოფლის 8500 ჰა მიწა მოირწყვება, სალთვისის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის შედეგად კი - 16 სოფლის 9700 ჰა. პროექტის განხორციელების შედეგად, აღნიშნულმა სოფლებმა უკვე შეძლეს მიწის ნაკვეთების მორწყვა.

თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალის მშენებლობა: 2013 წელს ფონდმა ისეთ მნიშვნელოვან პროექტზე გამოაცხადა ტენდერი, როგორიც თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალის მშენებლობაა. ფონდის ახალი ხელმძღვანელობის ძალისხმევამ, რომ ტენდერები გამჭვირვალე და კონკურენტუნარიან გარემოში ჩატარებულიყო, შედეგი გამოიღო. შესაბამისად, განმეორებით ტენდერში, უპრეცედენტო მაღალი აქტივობა დაფიქსირდა და სატენდერო დოკუმენტაცია 41-მა კომპანიამ შეიძინა.

ფონდის ხელმძღვანელობის ძალისხმევის შედეგად, თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალის მშენებლობასთან დაკავშირებით კანონით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა უკვე დაკმაყოფილებულია. კერძოდ: აღმოიფხვრა პროექტში არსებული ყველა ხარვეზი, გადაიჭრა საკუთრების პრობლემასთან დაკავშირებული საკითხები, მიღებულია მშენებლობის ნებართვა, მნიშვნელოვნად შემცირდა პროექტის ღირებულება, რომელიც ხელოვნურად იყო გაბერილი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ აზიის განვითარების ბანკთან მიღწეული იქნა შეთანხმება ავტომაგისტრალის მშენებლობაზე 100%-ით ადგილობრივი მუშა-ხელის დასაქმების თაობაზე.

მასშტაბური ნაპირსამაგრი სამუშაოების ცხენისწყალზე, ანაკლიასა და ბათუმში: ფონდმა 2013 წლის პირველ ნახევარში, სხვა მნიშვნელოვან პროექტებთან ერთად, მასშტაბური ნაპირსამაგრი სამუშაოები დაიწყო. უკვე დას-

რულდა ცაგერის მუნიციპალიტეტში მდინარე ცხენისწყლის ნაპირსამაგრი სამუშაოები, რომლის ღირებულებაც 3 მლნ ლარია. დაიწყო ანაკლიის ნაპირდამცავი ნაგებობების მშენებლობა, რომლის საკონტრაქტო ღირებულება 15 მლნ ლარია. ამჟამად კი ბათუმის ნაპირდაცვის სამუშაოებთან დაკავშირებული შესყიდვის პროცედურები მიმდინარეობს.

წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია საქართველოს ქალაქებში: ანგარიშის მიხედვით, ფონდის საქმიანობა აქტიური და მასშტაბური იყო წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის კუთხითაც. კერძოდ, 6 თვის განმავლობაში 17 ქალაქსა და 5 დაბაში მოწესრიგდა წყალმომარაგების სისტემა, რაზეც 12 500 ათასი ლარი დაიხარჯა.

საავტომობილო გზების რეაბილიტაცია: ასევე, განხორციელდა საავტომობილო გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია. კერძოდ, 7 მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები 8.2 მლნ ლარის საერთო ღირებულებით.

ტურისტული და კულტურული ცენტრების რეაბილიტაცია: ფონდმა კახეთსა და იმერეთში, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით, ათობით პროექტი დაიწყო. მათ შორის, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან ინფრასტრუქტურის მოწყობა და ტურისტულ ცენტრებში ქუჩებისა და შენობების რეაბილიტაცია.

აღსანიშნავია, რომ ახალი მენეჯმენტის წყალობით, მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში ფონდმა მოაგვარა მნიშვნელოვანი სისტემური პრობლემები, კერძოდ: ათობით პროექტზე აღმოიფხვრა საკუთრების პრობლემასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც წინა მენეჯმენტის პირობებში სრულად იყო იგნორირებული; ყველა პროექტზე მიღებულია მშენებლობის ნებართვა, რომელიც აქამდე არ არსებობდა; შემცირდა ხელოვნურად გაბერილი საპროექტო ღირებულებები; მოხდა არაერთი უხარისხო პროექტის კორექტირება და გასწორდა ასევე უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები [19].

მუნიციპალური განვითარების ფონდის 2014 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 250 მილიონი ლარით, რომლითაც განხორციელდება დონორების მიერ დამტკიცებულ 3 ან 4 წლიანი პროგრამები. 2014 წლის ბიუჯეტში არის აზიის განვითარების ბანკის მიერ დაფინანსებული მდგრადი ურბანული განვითარების პროგრამაც, რომლის ფარგლებში განხორციელდება თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალის მშენებლობა,

დაგეგმილია მეტროსადგურ უნივერსიტეტის მშენებლობა, მიმდინარეობს ანაკლიის პირველი ფაზის ნაპირდაცვითი სამუშაოები, ასევე დაფინანსდება მეორე ფაზის მშენებლობა. ამ პროგრამაში მოიაზრება ბათუმის ნაპირდაცვითი პროექტიც [20].

დაბოლოს, ამჟამად ფონდი მუშაობს მსოფლიო ბანკთან რეგიონული და მუნიციპალური განვითარების ახალი პროგრამის დასაწყებად. საქართველოს მთავრობასა და მსოფლიო ბანკს შორის ეს სესხი, სავარაუდოდ, ივნისში გაფორმდება. ზუსტი თანხა განსაზღვრული არ არის, მაგრამ დაახლოებით 80 მლნ აშშ დოლარამდე იქნება. ამ პროგრამაში პრიორიტეტები იქნება მუნიციპალური ინფრასტრუქტურა, რაშიც შედის მუნიციპალური გზები, გარე განათება, წყალმომარაგების სისტემა, ასევე სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობა, რაც გულისხმობს საჯარო ინფრასტრუქტურის განვითარებას და კერძო სექტორის წახალისებას.

საქართველოში სკპ-ის კიდევ ერთ ქმედით ინსტიტუციურ ინსტრუმენტად შესაძლოა იქცეს 2011 წელს დარეგისტრირებული სს „საპარტნიორო ფონდი“, რომელიც არის სახელმწიფო საინვესტიციო ფონდი. ფონდს მინიჭებული აქვს საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო იტცპ-ის რეიტინგი „BB“, რაც საქართველოს საკრედიტო რეიტინგის თანასწორია. „საპარტნიორო ფონდი“ შეიქმნა სატრანსპორტო, ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის სფეროში არსებული მსხვილი სახელმწიფო საწარმოების კონსოლიდაციის ბაზაზე. ფონდის მთავარი დანიშნულებაა საქართველოში ინვესტიციების წახალისება საინვესტიციო პროექტების განვითარების საწყის ეტაპზე თანამონაწილეობის გზით (კაპიტალში თანაინვესტირება, სუბორდინირებული სესხი და ა.შ.).

ფონდის მმართველობის ორგანოებია: სამეთვალყურეო საბჭო, აღმასრულებელი ორგანო და საინვესტიციო საბჭო.

სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელობს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. საბჭოს შემადგენლობაში ასევე შედის საქართველოს მთავრობის 4 წევრი და კერძო სექტორიდან მოწვეული 3 პირი. კერძოდ: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, ფინანსთა, ენერგეტიკისა და იუსტიციის მინისტრები; „თიბისი ბანკის“,

„საქართველოს ბანკის“ და „ლიბერთი ბანკის“ წარმომადგენლები.²

სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციაა:

➤ ფონდის მენეჯმენტის (აღმასრულებელი ორგანოს) საქმიანობის კონტროლი;

➤ ფონდის ფინანსური დოკუმენტაციის კონტროლი და შემოწმება;

➤ აღმასრულებელი ორგანოს წევრებისთვის წარმომადგენლობითი და ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მინიჭება და გაუქმება, უფლებამოსილების ფარგლების განსაზღვრა;

➤ პროექტის დაფინანსების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება;

➤ დამტკიცებული პროექტის მართვის მონიტორინგის განხორციელება;

➤ ფონდის წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ კომპანიაში პარტნიორულ უფლებამოსილებათა გადანაწილების, პროექტში ფონდის წილობრივი მონაწილეობის ფორმისა და წილის ოდენობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

➤ საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, ფონდის საკუთრებაში არსებული წილის/აქციების გასხვისების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

აღმასრულებელ ორგანოს ხელმძღვანელობს ფონდის აღმასრულებელი დირექტორი. ფონდის აღმასრულებელ ორგანოში შედიან აღმასრულებელი დირექტორის მოადგილეები, აგრეთვე დეპარტამენტების დირექტორები.

აღმასრულებელი ორგანოს ძირითადი ფუნქციებია:

❑ პროექტების შემუშავება და ფონდის სამეთვალყურეო საბჭოსათვის წარდგენა;

❑ დამტკიცებული პროექტების მართვა;

❑ ფონდის წილობრივი მონაწილეობით შექმნილი/არსებული საწარმოების პარტნიორის/აქციონერის უფლებამოსილების განხორციელება;

❑ მოწონებული პროექტების განხორციელების მიზნით, სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებით, შეიღობილი კომპანიების დაარსება.

საინვესტიციო საბჭო არის სამეთვალყურეო საბჭოსთან არსებული ფონდის საკონსულტაციო ორგანო, რომლის ძირითადი ფუნქციაა პროექტის ეფექტიანობისა და მდგრადობის შეფასება, წი-

² ფონდის დონორები არიან: მსოფლიო ბანკი (WB), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, აზიის განვითარების ბანკი (ADB), გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (KfW), ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში (EU), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), იაპონიის ბანკი საერთაშორისო თანამშრომლობისთვის, ევროპის საინვესტიციო ბანკი, შვედეთის საერთაშორისო განვითარების კოოპერაციის სააგენტო, პოლანდიის მთავრობა, „ფონდი - ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“, გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა, GIZ- გერმანიის საერთაშორისო დახმარების საზოგადოება.

ნადავებისა და რეკომენდაციების მომზადება და სამეთვალყურეო საბჭოსათვის წარდგენა. საინვესტიციო საბჭო შედგება ექსპერტებისაგან. საინვესტიციო საბჭოს წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო.

„საპარტნიორო ფონდის“ საქმიანობა ხორციელდება ორი ძირითადი მიმართულებით:

1. აქტივების მართვა - ფონდის ჯამური აქტივები 5 მლრდ ლარს აღემატება. ფონდის აქტივების პორტფელი შედგება შემდეგი სტრატეგიული მნიშვნელობის კომპანიებისაგან:

- საქართველოს რკინიგზა - 100% წილი (ჯამური აქტივები 2,8 მლრდ ლარი);³

- საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია - 100% წილი (ჯამური აქტივები 878,3 მლნ ლარი);⁴

- საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა - 100% წილი (ჯამური აქტივები 1,0 მლრდ ლარი);⁵

- ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი (ესკო) - 100% წილი (ჯამური აქტივები 33,8 მლნ ლარი);⁶

- სს თელასი - 24.5% წილი.⁷

როგორც ჩანს, საქართველოს რკინიგზა და ნავთობისა და გაზის კორპორაცია წარმოადგენენ „საპარტნიორო ფონდის“ საინვესტიციო საქმიანობის დაფინანსების მთავარ წყაროს.

2. საინვესტიციო საქმიანობა - ამჟამად ფონდის პორტფელშია რამდენიმე პროექტი ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში, რომელთა ჯამური ღირებულება აღემატება 1 მილიარდ

აშშ დოლარს. ფონდი უფლებამოსილია განახორციელოს ინვესტიცია მხოლოდ საქართველოში და მისი სტრატეგია მიმართულია კერძო ინვესტორების მოზიდვასა და მხარდაჭერაზე. ფონდისათვის მნიშვნელოვანია კომერციულად მომგებიანი პროექტების მხარდაჭერა საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტულ სექტორებში, რომლებიც გამოირჩევა განვითარების დიდი პოტენციალით, მათ შორის, შემდეგ სექტორებში: აგრობიზნესი, ენერგეტიკა, ინფრასტრუქტურა და ლოგისტიკა წარმოება, უძრავი ქონება და ტურიზმი [21].

საინვესტიციო პროექტის იდეის გენერირება და ინიცირება შესაძლებელია მოხდეს: 1. კერძო ინვესტორის ინიციატივით საფუძველზე, ან 2. ფონდის ინიციატივით. 1-ელ შემთხვევაში ინვესტორი წარმოადგენს პროექტს, რომელსაც ფონდი განიხილავს, ხოლო მე-2 შემთხვევაში ფონდი თავად ეძებს კერძო ინვესტორს კონკრეტული პროექტისთვის, წინასწარ განხორციელებული ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევის საფუძველზე. დაფინანსებისთვის განიხილება მხოლოდ კომერციულად მიზანშეწონილი პროექტები, რომლებსაც გამოცდილი პარტნიორები ან დაქირავებული სპეციალისტები ოპერატორები მართავენ.

ფონდი ფინანსურ პარტნიორობას უწევს კერძო ინვესტორებს, რაც საშუალო- და გრძელვადიან თანადაფინანსირებაში გამოისახება. იგი პასიური პარტნიორის როლში იღებს მონაწილეობას როგორც რეგულირებელ (ახალი ბიზნეს ინიციატივები), ისე როგორც ინვესტიცია არსებულ

³ ბანკირების საბჭოში მოწვევა მიზანშეწონილად ჩაითვალა, იმდენად, რამდენადაც ფონდის საქმიანობა არამც და არამც არ უნდა გახდეს კომერციული ბანკებისთვის კონკურენციის გამწვევი ფაქტორი. ასე რომ, თუკი საბჭოზე დასამტკიცებლად გამოტანილი პროექტი ბანკებისთვისაც აღმოჩნდება საინტერესო, ფონდი მათ ამ პროექტებს უთმობს.

⁴ საქართველოს რკინიგზა აერთიანებს და მართავს საქართველოს სარკინიგზო ხაზებს (ჯამში 1,326 კმ და 114 სადგური) და მოძრავ შემადგენლობას, ახორციელებს სამგზავრო გადაყვანებსა და სატვირთო გადაზიდვებს. კომპანიის მოძრავი შემადგენლობა მოიცავს 139 ლოკომოტივს, 8,122 სატვირთო ვაგონს, 98 სამგზავრო ვაგონს და ა.შ. საქართველოს რკინიგზა არის უმსხვილესი დამსაქმებელი ქვეყნის მასშტაბით. 2012 წლის ბოლოსთვის საქართველოს რკინიგზაში დასაქმებულებთა რაოდენობამ 12,000 ადამიანს გადააჭარბა.

⁵ კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის ბუნებრივი აირის იმპორტი, გაყიდვა და გაზსადენების გაქირავება. კორპორაციას გააჩნია ეროვნული ნავთობის კომპანიის იურიდიული სტატუსი და წარმოადგენს სახელმწიფო ინტერესებს ნედლი ნავთობისა და ბუნებრივი აირების კუთხით, წარმოების დაყოფის ხელშეკრულებების საშუალებით (PSA).

⁶ საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა არის დისპეჩერიზაციის ლიცენზიის ექსკლუზიური მფლობელი, რომლის სერვისებით სარგებლობს 50-მდე კომპანია საქართველოში. კომპანია აწარმოებს ტექნიკურ კონტროლს მთლიან ელექტრო სისტემაზე, უწყვეტი ელექტრომომარაგების უზრუნველსაყოფად. კომპანიას არ გააჩნია ელექტროენერგიის ყიდვის ან გაყიდვის უფლება.

⁷ ესკოს მთავარი ფუნქციებია: საბალანსო ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ყიდვა-გაყიდვა; გარანტირებული სიმძლავრით ვაჭრობა; საბითუმო ყიდვა-გაყიდვის შესახებ ერთიანი ბაზის, მათ შორის, აღრიცხვიანობის ერთიანი რეგისტრის შექმნა და წარმოება; საქართველოს ერთიან ელექტროენერგეტიკულ სისტემაში ელექტროენერგიისა და სიმძლავრის მიწოდება-მოხმარების დაგეგმვის მიზნით დისპეჩერიზაციის ლიცენზიატისათვის შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა.

ბიზნესში) პროექტებში, წინასწარ განსაზღვრული გასვლის სტრატეგიით. ფონდი პროექტში თავისი მონაწილეობის პარალელურად, ასევე ხელს უწყობს პროექტებისათვის უპირატესი დაფინანსების მოპოვებას კომერციული წყაროებიდან და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან. დაფინანსება ფონდის მხრიდან ხდება კაპიტალში მონაწილეობით და ზოგიერთ შემთხვევაში სუბორდინირებული (კონვერტირებადი და არაკონვერტირებადი) სესხების მეშვეობით.

ფონდის თანამონაწილეობა პროექტებში არ უნდა აღემატებოდეს კაპიტალის 50%-ს. დაფინანსებასთან ერთად, ფონდი პარტნიორს და მმართველ გუნდს ეხმარება გრძელვადიანი მდგრადობის მიღწევაში.

ფონდი აფინანსებს კერძო ინვესტორებს შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- საპარტნიორო ფონდს შეუძლია განახორციელოს ინვესტიცია მხოლოდ საქართველოში, ყველა სექტორში, მომსახურების სფეროს გარდა;

- ფონდი ახორციელებს ინვესტიციებს მხოლოდ კომერციულად მომგებიან პროექტებში;

- ფონდი უფლებამოსილია მიიღოს მონაწილეობა კაპიტალში და ასევე გასცეს სუბორდინირებული/უპირატესი სესხები (both convertible and nonconvertible);

- ფონდის მონაწილეობა პროექტში, იქნება ეს კაპიტალისა თუ სესხის სახით, არ უნდა აღემატებოდეს კერძო ინვესტორის წილს;

- ფონდის მიზანია მიიღოს მონაწილეობა პროექტებში უმცირესი თანამეწილის სახით, საშუალო- ან გრძელვადიანი პერსპექტივით.

პროექტების შერჩევა ხდება შემდეგი ძირითადი კრიტერიუმებით:

- ⇒ პარტნიორს უნდა ჰქონდეს ფინანსური რესურსი კაპიტალის სახით, პროექტის ნაწილის დასაფინანსებლად;⁸

- ⇒ წარმოდგენილი უნდა იყოს პროექტის ეკონომიკურ-ტექნიკური დასაბუთება (ბაზრის კვლევა);

- ⇒ ფონდის წილი არ უნდა იყოს მთლიანი

ინვესტიციის 50%-ზე მეტი;

- ⇒ პროექტიდან ფონდის გასვლა უნდა იყოს შესაძლებელი 3-7 წლის განმავლობაში.

ფონდის მთავარი სპეციფიკა და უმთავრესი პრიორიტეტი ისაა, რომ სწორად გათვლილი და თანამიმდევრულად განხორციელებული ინვესტირების შედეგად პროექტების წარმატებულად ამუშავება შეუქცევად პროცესად იქცეს და, უკვე პროექტის დასრულებისა და ექსპლუატაციაში გაშვების პარალელურად, ფონდის მთავარი ამოცანა ხდება პროექტიდან გასვლა და პარტნიორთან ერთად ისეთი ინვესტორის მოძებნა, რომელიც პროექტის შემდგომი წარმატებითა და განვითარებით იქნება დაინტერესებული. ასეთი ორი მაგალითი უკვე სახეზეა, კერძოდ, თანამედროვე სასტუმრო-ინფრასტრუქტურული კომპლექსი „ჯინოველნესი“ ახალციხეში და სასტუმრო-ინფრასტრუქტურული კომპლექსი „როიალბატონი“ ყვარელში. ახალციხეში უროცომ ინვესტმენტ ეორგია-სთან ერთად განხორციელებულ სასტუმრო-ინფრასტრუქტურულ პროექტში ფონდს ჩაენაცვლა სლოვაკეთის ექსპორტ-იმპორტის ბანკი, ხოლო ყვარელში, ილიას ტბის მიმდებარედ განხორციელებულ ასევე სასტუმრო-ინფრასტრუქტურულ პროექტში - ქართული საფინანსო ინსტიტუტი, კერძოდ, „თიბისი ბანკი“.

ზემოდასახელებულ დასრულებულ ორ სასტუმრო-ინფრასტრუქტურულ პროექტთან ერთად, ასევე დასრულებულია 10 მილიონი აშშ დოლარის საინვესტიციო ღირებულების პროექტი სოფლის მეურნეობის დარგში, კერძოდ, სოფელ კოლაში თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი და სანიტარულ-ჰიგიენური ევროპული ნორმების სრული დაცვით გამართული მეღორეობის ფერმა, რომელიც 2014 წლიდან ღორის ხორცზე ადგილობრივ მოთხოვნას 20–25%-ით დააკმაყოფილებს. ეს საკმაოდ მასშტაბური პროექტია, რომელიც თავისი შინაარსით უნიკალურია და სახელმწიფოს, საბანკო სექტორის და მეწარმეთა თანამშრომლობის წარმატებულ მაგალითს წარმოადგენს.

თურქ ინვესტორებთან, კერძოდ, უმსხვილეს თურქულ კომპანია „ჩალიკ ჯგუფთან“ ერთად, მიმდინარეობს მუშაობა გარდაბანში თბოელექტროსადგურის პროექტზე, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში უპრეცედენტო მასშტაბის პროექტია და, ახალი ტექნოლოგიური მიდგომებიდან გამომდინარე, იქნება 50%-ით უფრო ენერგოეფექტური, ვიდრე დღეს ქვეყანაში არსებული თბოელექტროსადგურებია. თავისი 230 მეგავატიანი დადგმული სიმძლავრით ის საკმაოდ წვლილს შეიტანს ელექტროენერგიაზე

⁸თელასის ძირითადი საქმიანობაა თბილისში ელექტროენერგიის დისტრიბუცია კომუნალური და კომერციული მომსახურებებისთვის. თელასის 75%-ის მფლობელია INTER RAO UES, ხოლო 24.53% არის საპარტნიორო ფონდის მფლობელობაში, დარჩენილი 0.47% ეკუთვნის კერძო პირებს. კომპანია ირიცხება ქართულ ბირჟაზე.

ფონდი პროექტს განიხილავს იმ შემთხვევაში, თუ მისი ღირებულება სოფლის მეურნეობის სფეროში იქნება მინიმუმ 5 მლნ ლარი, ხოლო არასასოფლო-სამეურნეო სფეროში – მინიმუმ 30 მლნ ლარი.

მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილების საქმეში. პროექტის მთლიანი საინვესტიციო ღირებულება 220 მლნ აშშ დოლარამდეა. პროექტი ფონდისა და მისი შვილობილი კომპანიის „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ ერთობლივი დაფინანსებით ხორციელდება.

ამჟამად დამუშავება-განხილვის პროცესშია სვანეთში, მდინარე ენგურის მთავარ შენაკადზე 210 მეგავატი სიმძლავრის „ნენსკრას“ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროექტი. ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის წლიური გამომუშავება იქნება -1,194 მეგავატი საათში. პროექტის სავარაუდო ღირებულებაა 570 მლნ აშშ დოლარი, რომლის 75% დაფინანსდება სესხის სახით. ამ ეტაპზე ფონდი იხილავს პროექტით დაინტერესებული პოტენციური ინვესტორების წინადადებებს, უკვე ჩატარებულია 10 მლნ ლარის ოდენობის მოსამზადებელი სამუშაოები [22].

ფონდის პორტფელს მემკვიდრეობით ერგო პორტ „ლაზიკას“ პროექტიც, რომლის განხორციელების მიზანშეწონილობის საბოლოოდ გადასაწყვეტადაც მიმდინარეობს ინტენსიური კვლევითი სამუშაოები, როგორც საზღვაო-საპორტო ინფრასტრუქტურების და ეკოლოგიაზე მისი ზემოქმედების, ისე პორტის ექსპლუატაციაში გაშვების შემთხვევაში, ქვეყანაში არსებული და პოტენციურად მოზიდვადი ტვირთების დამუშავების მიმართულებით. ყაზახ ინვესტორებთან ერთად, ინტენსიურად მიმდინარეობს ლიკანში „რიქსოსის“ ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს პროექტი, რომლის მთლიანი საინვესტიციო ღირებულებაც 38 მლნ აშშ დოლარს შეადგენს.

ამჟამად ფონდი მონაწილეობს წინანდალში 16 მლნ აშშ დოლარის მთლიანი საინვესტიციო ღირებულების ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს „წინანდალი რედისონის“ პროექტში. ამ სასტუმროს ოპერირებას შემდგომში „რედისონი“ განახორციელებს. ფონდი აქტიურად მუშაობს ასევე ლიკანში, ყაზახ ინვესტორებთან ერთად, 38 მლნ აშშ დოლარის საინვესტიციო ღირებულების „რიქსოსის“ ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს პროექტის განხორციელებაზე.

ფონდი ასევე აქტიურად მუშაობს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით. 2013 წელს მთავრობის განკარგულებით, ფონდს დაევადა შავიზღვისპირა რეგიონში სატვირთო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების კონცეფციის მომზადება. კონცეფციამ საქართველოს ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობით განპირობებული კონკურენტული უპირატესობები უნდა გამოკვეთოს.

დღემდე არსებული ოთხი პორტიდან ორი

- ყულევი და სუფსა მხოლოდ თხევად ტვირთებზე - ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადაზიდვაზე მუშაობს. რაც შეეხება ბათუმისა და ფოთის პორტებს, რომელთა ჯამური წარმადობა საკონტეინერო გადაზიდვებში დაახლოებით 300 000-დან 400 000-მდე TEU-ს შეადგენს, მათ პრაქტიკულად თითქმის ათვისებული აქვთ საკუთარი სიმძლავრეები. ამასთან საკონტეინერო გადაზიდვების მაჩვენებელი 18 პროცენტით იზრდება, რამაც დღის წესრიგში დააყენა საქართველოს შავიზღვისპირეთში ახალი პროექტის განხორციელების აუცილებლობა. საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტის მიზნით, უახლოეს მომავალში ჩატარდება კვლევები, რომლებიც საბოლოოდ განსაზღვრავს არსებული პორტების გაფართოების შესაძლებლობებთან შედარებით ახალი პორტის აშენების მიზანშეწონილობას და მის ადგილმდებარეობას [23].

ეს არის, ფაქტობრივად, ის ძირითადი პროექტები, რომლებიც საპარტნიორო ფონდს აქტიურ ფაზაში აქვს. ამავე დროს, როგორც ანალიზმა გვიჩვენა, საპროექტო განაცხადების განხილვა-დამტკიცების კონსერვატიული და მოუქნელი პროცედურა, რომელიც აერთიანებს სახელმწიფო შეფასებისა (მაპროფილებელი უწყებებისა და მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციების დადებითი დასკვნები) და მოწვეული საინვესტიციო კონსულტანტების შეფასების ფორმებს, ართულებს ფონდთან ურთიერთქმედების პროცედურას. გარდა ამისა, მაღალი „შესვლის ბარიერი“ – (პროექტები სოფლის მეურნეობის სფეროში 5 მლნ ლარიდან, ხოლო არასასოფლო-სამეურნეო სფეროში “30 მლნ ლარიდან) - გარკვეულად ზღუდავს სკპ-ის განვითარების შესაძლებლობას ნაკლებ მასშტაბურ, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვან პროექტებში.

ამჟამად სკპ-ის ფარგლებში წარმოებული საქმიანობა რეგულირდება როგორც ზოგადი კანონმდებლობით (სამოქალაქო, საბიუჯეტო, საგადასახადო, ადგილობრივი თვითმმართველობის, სარკინიგზო, საჰაერო და საზღვაო კოდექსები), ასევე სპეციალური კანონებით, რომელთაც შეიძლება მივაკუთვნოთ: საქართველოს 1994 წლის 28 ოქტომბრის N 557-Is კანონი „მეწარმეთა შესახებ“, საქართველოს 1994 წლის 21 დეკემბრის N 616-Is კანონი „საზღვარგარეთის ქვეყნებისა და კომპანიებისათვის კონცესიების გაცემის წესის შესახებ“, საქართველოს 1996 წლის 12 ნოემბრის 4473 - Is კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“, საქართველოს 1997 წლის 30 მაისის 743 - IIs კანონი „სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართვე-

ლი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ”, საქართველოს 2002 წლის 19 ივნისის 1519 - II ს კანონი „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ”, საქართველოს 2006 წლის 30 ივნისის N 3424 - რ ს კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ”, საქართველოს 2007 წლის 3 ივლისის 5175-რ ს კანონი „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ”, საქართველოს 2009 წლის 3 ნოემბრის 1940 - II ს კანონი „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ”, საქართველოს 2010 წლის 26 ოქტომბრის 3754 - II ს კანონი „თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ”, საქართველოს 2010 წლის 15 დეკემბრის 4064 - რ ს კანონი „საინფორმაციო ტექნოლოგიური ზონების შესახებ”, საქართველოს 2011 წლის 8 აპრილის 4522 - II ს კანონი „სააქციო საზოგადოების - საპარტნიორო ფონდის შესახებ”, საქართველოს 2013 წლის 24 ივლისის 843 - რ ს კანონი „საინვესტიციო ფონდების შესახებ”, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 2 ივნისის №230 დადგენილება „სს „საპარტნიორო ფონდის“ წესდების დამტკიცებისა და კაპიტალის ფორმირების შესახებ”.

გარდა ამისა, სპეციალური კანონმდებლობის ჯგუფს შესაძლოა მივაკუთვნოთ შემდეგი დარგობრივი კანონები და ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები: საქართველოს 1994 წლის 11 ნოემბრის 463 კანონი „საავტომობილო გზების შესახებ”, საქართველოს 1995 წლის 7 მარტის 672-11 ს კანონი „საბინაო კომუნალური მეურნეობის შესახებ”, საქართველოს 2000 წლის 27 ოქტომბრის 577 - II ს კანონი „სამშენებლო საქმიანობის შესახებ”, საქართველოს 2005 წლის 8 ივლისის 1896 - რ ს კანონი „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ” და სხვ.

საჯარო-კერძო პარტნიორობის სფეროში ეროვნული კანონმდებლობის ძირითადი ამოცა-

ნა და მიზანია ახალი უფლებებისა და უფლებამოსილებების სხვადასხვა ადმინისტრაციულ დონეებს შორის განაწილება, რაც მათ მისცემს სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის პარტნიორობის ახალი ფორმების განვითარების შესაძლებლობას. კანონმდებლობამ ამ სფეროში შეიძლება მიიღოს ზოგადი ფორმა, დარგთაშორისი კანონმდებლობის ფორმა (კანონთა კრებულები), ან დარგობრივი (მაგალითად, გზების მშენებლობა, ქალაქმშენებლობა, მუნიციპალური ქსელები და სხვ.) კანონმდებლობის ფორმა. თავიდან უნდა იქნეს აცილებული ცალკეული პროექტებისათვის დამოუკიდებელი კანონების შემუშავებისა და მიღების შემთხვევები.

მწყობრი იურიდიული სტრუქტურის არსებობა სკპ-ში კერძო სექტორის მონაწილეობის მოტივაციის უმნიშვნელოვანესი წანამდგარია, რამდენადაც ამას წვლილი შეაქვს პოლიტიკური და სხვა არაეკონომიკური რისკების შემცირებაში. ამ გარემოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის, სადაც სკპ-მ, როგორც პერსპექტიულმა სოციალურ-ეკონომიკურმა ინსტიტუტმა, მხარდაჭერა მიიღო უმაღლეს სახელმწიფო დონეზე. ამიტომ ქართველი, და განსაკუთრებით საზღვარგარეთელი კერძო ინვესტორები სულ უფრო მეტად აფასებენ სკპ-ის პერსპექტივებს საქართველოში.

დაბოლოს, დასკვნის სახით უნდა ითქვას: ჩვენს ქვეყანას საწარმოო და სოციალურ ინფრასტრუქტურაში სკპ-ის განსავითარებლად სიტუაციის რადიკალურად გაუმჯობესებისათვის მოუწევს დიდი მუშაობა, რომელიც უნდა შესრულდეს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ. სკპ-ის ფორმებისა და მექანიზმების გამოყენებაში მსოფლიო პრაქტიკისა და საქართველოს სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების არასაკმარისი გამოცდილების გათვალისწინებით, საქართველოში უახლოეს მომავალში საჭირო გახდება მუშაობის გააქტიურება სკპ-ის ნორმატიულ-სამართლებრივი და ინსტიტუციური უზრუნველყოფის გაძლიერების მიმართულებით.

საქართველოს ეკონომიკური პრობლემები

ბამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს 1994 წლის 28 ოქტომბრის N 557-Is კანონი „მეწარმეთა შესახებ“ //www.parliament.ge; საქართველოს 1994 წლის 21 დეკემბრის N 616-Is კანონი „საზღვარგარეთის ქვეყნებისა და კომპანიებისათვის კონცესიების გაცემის წესის შესახებ“//www.parliament.ge.
2. საქართველოს 1995 წლის 7 მარტის N 672-11s კანონი „საბინაო კომუნალური მეურნეობის შესახებ“//www.parliament.ge.
3. საქართველოს 1996 წლის 12 ნოემბრის N 4473 - Is კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“//www.parliament.ge.
4. საქართველოს 1997 წლის 30 მაისის N 743 - IIs კანონი „სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“//www.parliament.ge.
5. საქართველოს 2002 წლის 19 ივნისის N 1519 - IIs კანონი „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“//www.parliament.ge.
6. საქართველოს 2005 წლის 25 მარტის N 1190 - Is კანონი „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“//www.parliament.ge.
7. საქართველოს 2005 წლის 8 ივლისის N 1896 - rs კანონი „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ“//www.parliament.ge.
8. საქართველოს 2006 წლის 14 აპრილის N 2882 - Is კანონი „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“//www.parliament.ge.
9. საქართველოს 2006 წლის 30 ივნისის N 3424 - rs კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“//www.parliament.ge.
10. საქართველოს 2007 წლის 3 ივლისის N 5175-rs კანონი „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“//www.parliament.ge.
11. საქართველოს 2009 წლის 3 ნოემბრის N 1940 – IIs კანონი „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ“ //www.parliament.ge.
12. საქართველოს 2010 წლის 26 ოქტომბრის N 3754 – IIs კანონი „თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ“ //www.parliament.ge.
13. საქართველოს 2010 წლის 15 დეკემბრის N 4064 – rs კანონი „საინფორმაციო ტექნოლოგიური ზონების შესახებ“//www.parliament.ge.
14. საქართველოს 2011 წლის 22 მარტის N 4469 კანონი „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ“// www.parliament.ge.
15. საქართველოს 2011 წლის 8 აპრილის N 4522 – Is კანონი „სააქციო საზოგადოების - საპარტნიორო ფონდის შესახებ“//www.parliament.ge.
16. საქართველოს 2012 წლის 5 ივლისის N 6627 კანონი „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ“//www.parliament.ge.
17. საქართველოს 2013 წლის 24 ივლისის N 843 – rs კანონი „საინვესტიციო ფონდების შესახებ“//www.parliament.ge.
18. მუნიციპალური განვითარების ფონდი 2013 წლის პირველი ნახევრის მუშაობის შედეგებს აქვეყნებს. [ელექტრონული რესურსი]. – <http://www.mdf.org.ge/?site-lang=ka&site-path=news/&id=20>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 14.04.2014.
19. მუნიციპალური განვითარების ფონდის ხელმძღვანელი: ჩვენი ძალისხმევით წინა წლებში შესრულებული სამუშაოების ანაზღაურების პრობლემა მოგვარდა. [ელექტრონული რესურსი]. – <http://www.mdf.org.ge/?site-lang=ka&site-path=media/publications/&id=194>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 14.04.2014.
20. მეტროსადგურ „უნივერსიტეტისა“ და რუსთავი-თბილისის მაგისტრალის მშენებლობა იწყება [ელექტრონული რესურსი]. – <http://www.mdf.org.ge/?site-lang=ka&site-path=media/publications/&id=192>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 14.04.2014.
21. საპარტნიორო ფონდი. საინვესტიციო საქმიანობა. ინვესტირების შესაძლებლობები. [ელექტრონული რესურსი]. – http://www.fund.ge/geo/investment_opportunities/37/, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 14.04.2014.

22. „საპარტნიორო ფონდის“ პროექტების საინვესტიციო ღირებულება 3 მილიარდ ლარს მიაღწევს. [ელექტრონული რესურსი]. – <http://bfm.ge/index.php?newsid=7739>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 14.04.2014.

23. საპარტნიორო ფონდიდან სუვერენულ ფონდამდე. [ელექტრონული რესურსი]. – <http://www.commersant.ge/?page=personal&blogger=41&id=38>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 14.04.2014.

NORMATIVE - LEGAL AND INSTITUTIONAL PROVISION OF PUBLIC - PRIVATE PARTNERSHIP IN GEORGIA

***MERAB VANISHVILI* - Doctor of Economics,
Professor at the Georgian Technical University**

***NINO VANISHVILI* - Doctor of Business Administration,
Visiting Senior lecturer at the Georgian Technical University**

In the article, the latest literary sources, tanmimdevruladaa studied public - private partnership normative - legal and institutional security issues in Georgia.

It is shown that there is a public - private partnership is actually involved in the economic policies of both the central as well as regional and local levels; In addition, Georgia has formed a public - private partnership to realize some unique understanding of the forms and methods. Of peculiarity is that: first - a public - private partnership in any form of the lack of legislative support, which is why it is still a public - private partnership format for each individual project will ikvalavs big labor and, unfortunately, is not a flawless legal point of view; Secondly, although the country is widely used in public - private partnerships in several forms such as mixed public - private enterprises, state and municipal property, but state and municipal property subject to long-term private investment in order to attract more and more efficient forms - William “grinpildis” Projects - is too great to be introduced.